



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

15 ნოემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №368

ავთანდილ სურგულაძის მივლინების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე, და 39-ე მუხლების და „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მივლინებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე ქალაქ თბილისში, საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაზე და საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ გამართულ შეხვედრაზე დასასწრებად მიმდინარე წლის 17 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო 20 ნოემბერს ქალაქ ლანჩხუთში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

2. მივლინებაში ყოფნის პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ა. მექვაბიშვილს).

3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ავთანდილ სურგულაძეს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე